

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის
წინააღმდეგ ექსპერტთა ჯგუფი (GREVIO)

COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE

კითხვარი

იმ საკანონმდებლო და სხვა ღონისძიებების შესახებ,
რომელიც უზრუნველყოფს ქალთა მიმართ
ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა
და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის
(სტამბოლის კონვენცია) დებულებების ამოქმედებას

მიღებულია GREVIO-ს მიერ, 2016 წლის 11 მარტი

GREVIO/Inf(2016)1

სარჩევი

I. შესავალი	3
II. კომპლექსური პოლიტიკა და მონაცემთა შეგროვება	6
III. პრევენცია	9
IV. დაცვა და მხარდაჭერა.....	12
V. მატერიალური სამართალი	15
VI. გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა, პროცესუალური კანონი და დაცვითი ზომები.....	21
VII. მიგრაცია და თავშესაფარი.....	25
დანართი	28
ცხრილი 1: მომზადება (საგანმანათლებლო ან პროფესიული ტრენინგები).....	28
ცხრილი 2: გადამზადების ტრენინგები	29

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ
ევროპის საბჭოს კონვენციის სამდივნო (GREVIO და მხარეთა კომიტეტი)
F-67075 Strasbourg Cedex France
www.coe.int/conventionviolence

I. შესავალი

მხარეებმა წინამდებარე კითხვარი უნდა გამოიყენონ იმ საკანონმდებლო და სხვა ღონისძიებების შესახებ ანგარიშის მოსამზადებლად, რომელიც უზრუნველყოფს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (შემდგომში, “კონვენცია”) დებულებების ამოქმედებას, კონვენციის 68-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. წინამდებარე დოკუმენტში ციტირებული სამართლებრივი დებულებები კონვენციიდანაა, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. კითხვების მნიშვნელობის შესახებ დამატებითი განმარტებების მისაღებად რეკომენდირებულია, რომ ანგარიშის ავტორებმა მიმართონ [კონვენციის](#) ტექსტსა და მის [განმარტებით ბარათს](#).

თუ სხვა რამ არ არის მითითებული, მოთხოვნილი მონაცემები და ინფორმაცია შეეხება 2016-2017 წლებს¹. ფინანსური მონაცემები ევროში უნდა იქნას წარმოდგენილი. წინამდებარე კითხვარში მოთხოვნილი ნებისმიერი ადმინისტრაციული და სამართლებრივი მონაცემები ჩაშლილი უნდა იქნას სქესის, ასაკისა და ძალადობის ტიპის მიხედვით, ასევე, მოძალადესა და მსხვერპლს შორის არსებული კავშირის, გეოგრაფიული მდებარეობისა და ნებისმიერი სხვა რელევანტური ფაქტორის მიხედვით - მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობა.

A. კონვენციის ზოგადი პრინციპები

ანგარიშებზე მუშაობისას, მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ კონვენციის პირველ თავში წარმოდგენილი ზოგადი პრინციპები; პრინციპები, რომლებიც ვრცელდება II-VII თავებში წარმოდგენილ ყველა მატერიალურ მუხლზე.

- ყველა ადამიანის, განსაკუთრებით კი ქალების *ფუნდამენტური უფლება*, იცხოვრონ ძალადობის გარეშე როგორც საჯარო, ისე კერძო სფეროში;
- ქალებსა და მამაკაცებს შორის *თანასწორუფლებიანობის პრინციპი* ეროვნულ კონსტიტუციებსა თუ სხვა შესაბამის საკანონმდებლო აქტებში უნდა დაფიქსირდეს და ამ პრინციპის პრაქტიკული განხორციელება უზრუნველყოფილი უნდა იქნას;
- ქალთა მიმართ *დისკრიმინაცია* უნდა აიკრძალოს, მათ შორის, სანქციების გამოყენებით, სადაც ეს მიზანშეწონილია, და იმ კანონების გაუქმებით და პრაქტიკაზე უარის თქმით, რომლებიც დისკრიმინაციას უწევს ქალებს.
- კონვენციის დებულებების განხორციელება უნდა მოხდეს *ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის გარეშე* და გათვალისწინებული უნდა იქნას მრავლობითი დისკრიმინაციის შესაძლებლობა და შედეგები.
- *სპეციალური ზომები*, რომლებიც აუცილებელია ქალების მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციისა და მათი ასეთი

¹ მონაცემებთან და ინფორმაციასთან დაკავშირებული ყველა მოთხოვნა შეეხება კითხვარის მიღებამდე გასულ ორ სრულ კალენდარულ წელს.

ძალადობისგან დასაცავად, არ ითვლება დისკრიმინაციად.

- მხარეებმა უნდა შეიტანონ გენდერული კონცეფციები კონვენციის დებულებების შესრულებასა და მათი გავლენის შეფასებაში და განახორციელონ ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორუფლებიანობისა და ქალებისათვის შესაძლებლობების გაზრდისკენ მიმართული პოლიტიკური კურსი.

B. კონვენციის მოქმედების სფერო და ძირითადი ტერმინების განმარტებები

კონვენციის მოქმედების სფეროს გათვალისწინებით, რომელსაც განსაზღვრავს მე-2 მუხლის პირველი პუნქტი, კონვენციის მხარეთა მიერ წარმოდგენილი ანგარიშები ყურადღებას უნდა ამახვილებდეს იმ ღონისძიებებზე, რომელიც განხორციელდა ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმასთან, მათ შორის ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით, რაც არათანაზომიერად უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ქალებზე. ტერმინი "ქალთა მიმართ ძალადობა", რომელიც გამოყენებულია წინამდებარე კითხვარში, აღნიშნავს ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმას, რომელიც კრიმინალიზებულია (ან ექვემდებარება სანქციას) კონვენციის მე-5 თავის თანახმად, მათ შორის, *ფსიქოლოგიური ძალადობა, ადევნება,² ფიზიკური ძალადობა, სექსუალური ძალადობა, მათ შორის, გაუპატიურება, იძულებითი ქორწინება, ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება, იძულებითი აბორტი, იძულებითი სტერილიზაცია ან სექსუალური შევიწროება*. იგი, ასევე მიუთითებს ოჯახში ძალადობას ქალთა მიმართ, რომელიც გულისხმობს ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური ძალადობის ყველა აქტს, რომლებიც ხდება ოჯახში თუ შინაურ წრეში ან ყოფილ ან ამჟამინდელ მეუღლეებსა თუ პარტნიორებს შორის, მიუხედავად იმისა, დამნაშავე პირი მსხვერპლთან ერთად ერთ საცხოვრებელში ცხოვრობს თუ არა. კონვენციის მიზნებისთვის, „ქალები“ მოიცავს, ასევე, 18 წლამდე ასაკის გოგონებს.

როგორც ეს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით არის განსაზღვრული, მხარეებს მოეთხოვებათ, რომ ოჯახში ძალადობის ყველა მსხვერპლთან მიმართებაში კონვენციის გამოყენებისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის მსხვერპლ ქალებს.

მხარეებს, ასევე, მოეთხოვებათ წარმოადგინონ ინფორმაცია იმ ნაბიჯების შესახებ, რომელიც გადაიდგა კონვენციის დებულებების უწყვეტი გამოყენების უზრუნველსაყოფად შეიარაღებული კონფლიქტების დროს (მე-2 მუხლის მესამე პუნქტი).

C. სახელმწიფო ვალდებულებები და სახელმწიფოს მხრიდან სათანადო ყურადღება

წინამდებარე კითხვარის საფუძველზე ანგარიშის მომზადების პროცესში,

² ადევნება მოიცავს არასასურველ კომუნიკაციას "კომუნიკაციის ხელმისაწვდომი ნებისმიერი საშუალების გამოყენებით, კომუნიკაციის თანამედროვე ინსტრუმენტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ჩათვლით" (განმარტებითი ბარათი, პუნქტი 182).

მხარეებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილონ თავიანთ ვალდებულებაზე, თავი შეიკავონ ქალთა მიმართ ძალადობის ნებისმიერი ქმედების ჩადენისგან, რომელიც კონვენციით არის გათვალისწინებული და უზრუნველყონ, რომ პირები, რომლებიც სახელმწიფოს სახელით გამოდიან, მოქმედებენ ამ ვალდებულების შესაბამისად, როგორც ამას მე-5 მუხლის პირველი პუნქტი მოითხოვს. ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში, სახელმწიფოს ეკისრება როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური ვალდებულებები: კერძოდ, საჯარო მოხელეებმა პატივი უნდა სცენ კანონმდებლობას და თავი უნდა შეიკავონ უკანონო ქმედებების ჩადენისგან და დაიცვან ფიზიკური პირები არა-სახელმწიფო პირების მიერ უკანონო ქმედებების ჩადენისგან.³

სახელმწიფო მხარეების მიერ წარმოდგენილი ანგარიშები უნდა შეიცავდეს რელევანტურ ინფორმაციას იმ ღონისძიებების შესახებ, რომელიც სახელმწიფომ მიიღო სათანადო ყურადღების გამოსაჩენად, რათა აღეკვეთა, გამოეძიებინა, დაესაჯა და გაეთვალისწინებინა რეპარაცია⁴ არასახელმწიფო პირების მიერ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის აქტების ჩადენისათვის,⁵ როგორც ამას მოითხოვს მე-5 მუხლის მეორე პუნქტი. სახელმწიფო მხარეებს მოეთხოვებათ, რეაგირება მოახდინონ ძალადობის ყველა ფორმაზე, რომელიც კონვენციით არის გათვალისწინებული, იმგვარად, რაც შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს საშუალებას აძლევს, იმოქმედონ აღნიშნული ვალდებულების შესაბამისად. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო იქნება პასუხისმგებელი იმ ქმედებისთვის, რომელიც სხვაგვარად მხოლოდ არა-სახელმწიფო პირის პასუხისმგებლობა იქნებოდა.

D. ორგანოები, უწყებები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ მხარის მიერ 68-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად წარდგენილი ანგარიშის მომზადებაში

გთხოვთ, მიუთითოთ, რომელი ოფიციალური ორგანო უზრუნველყოფს ინფორმაციის შეგროვების კოორდინაციას, წინამდებარე კითხვარის შევსებისა და ანგარიშის მომზადების მიზნით.

გთხოვთ, ასევე მიუთითოთ:

a. რომელმა სახელმწიფო უწყებებმა მიიღეს მონაწილეობა წინამდებარე

³ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) თანახმად, ცხოვრების უფლების დაცვის პოზიტიური ვალდებულება (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი) მოითხოვს, რომ სახელმწიფო ორგანოებმა გამოიჩინონ სათანადო ყურადღება, მაგალითად, პრევენციული ოპერატიული ზომების მიღებით, იმ პირის დასაცავად, რომლის სიცოცხლესაც საფრთხე ემუქრება (განმარტებითი ბარათი, პუნქტი 58).

⁴ ტერმინი “რეპარაცია” შესაძლოა, მოიცავდეს კომპენსაციის სხვადასხვა ფორმებს, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, ისეთს, როგორცაა დარღვეული უფლების აღდგენა (რესტიტუცია), კომპენსაცია, რეაბილიტაცია, დაკმაყოფილება და არა-განმეორების გარანტია (განმარტებითი ბარათი, პუნქტი 60).

⁵ ტერმინი “არასახელმწიფო პირი” გულისხმობს კერძო პირებს. ეს კონცეფცია განმარტებულია ძალადობისგან ქალთა დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის [Rec\(2002\)5 რეკომენდაციაში](#) (განმარტებითი ბარათი, პუნქტი 60).

ანგარიშის მომზადებაში (მათ შორის, რეგიონულ/ადგილობრივ დონეზე);

- b. რომელ სხვა ორგანოებთან, დაწესებულებებთან ან ორგანიზაციებთან კონსულტაციის საფუძველზე მომზადდა ანგარიში (ადამიანის უფლებათა დაცვის ადგილობრივი ინსტიტუტები, არა-სამთავრობო ორგანიზაციები და სხვა სამოქალაქო აქტორები, ა.შ.).

II. კომპლექსური პოლიტიკა და მონაცემთა შეგროვება (კონვენციის მე-2 თავი, მუხლები 7-11)

გთხოვთ, წარმოადგინეთ ინფორმაცია სახელმწიფოს მიერ ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ მიღებული კომპლექსური და კოორდინირებული პოლიტიკის თაობაზე; ამ კომპლექსური პოლიტიკის განსახორციელებლად გამოყოფილი შესაბამისი ფინანსური რესურსების შესახებ; არა-სამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა სამოქალაქო აქტორების, განსაკუთრებით კი ქალთა ორგანიზაციების საქმიანობისთვის გაწეული მხარდაჭერის შესახებ; და ამ ორგანიზაციებთან ქმედითი თანამშრომლობის დამყარებისა და მონაცემთა შეგროვების თაობაზე.

- A. გთხოვთ, წარმოადგინოთ იმ სტრატეგიების/სამოქმედო გეგმ(ებ)ისა და ნებისმიერი სხვა რელევანტური პოლიტიკის შესახებ დეტალური მონაცემები, რომელიც სახელმწიფომ მიიღო ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ, როგორც ეს მე-7 მუხლით არის დადგენილი. კერძოდ, გთხოვთ, აღწეროთ:

1. ძალადობის გათვალისწინებული ფორმები;
2. ვადა (ვადები);
3. როგორ ხდება მსხვერპლის უფლებების ყველა განსახორციელებელი ზომის ამოსავალ წერტილად განხილვა;
4. როგორ ხდება პოლიტიკის კოორდინირება ქალთა მიმართ ძალადობაზე სისტემური და კომპლექსური პასუხის გასაცემად;
5. მათი რეგიონულ/ადგილობრივ დონეზე განხორციელების მიზნით მიღებული ზომები;
6. მათი განხორციელების კუთხით მიღწეული პროგრესი.

- B. გთხოვთ, აღწეროთ ის ფინანსური რესურსები, რომელიც ზემოაღნიშნული პოლიტიკის განსახორციელებლად იქნა გამოყოფილი, როგორც ამას მე-8 მუხლი მოითხოვს, და მიუთითეთ დაფინანსების წყაროები (გამოყოფილი დაფინანსების რაოდენობა და მისი პროცენტული წილი სახელმწიფოს ყოველწლიურ ბიუჯეტში; გამოყოფილი დაფინანსების რაოდენობა და მისი პროცენტული წილი ადგილობრივ ბიუჯეტებში; დაფინანსების სხვა წყაროებიდან გამოყოფილი ოდენობები).

C.

1. როგორ ხდება არა-სამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა სამოქალაქო

აქტორების, განსაკუთრებით ქალთა ორგანიზაციების საქმიანობის აღიარება, წახალისება და მხარდაჭერა, როგორც ამას მოითხოვს მე-8 და მე-9 მუხლები?⁶

2. რა ღონისძიებები მიიღება აღნიშნულ ორგანიზაციებთან ეროვნულ და რეგიონულ/ადგილობრივ დონეზე ეფექტური თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად?

D. გთხოვთ, წარმოადგინოთ დეტალური ინფორმაცია მე-10 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად შექმნილი ან დანიშნული ორგანოს (ორგანოების) შესახებ.

1. სახელმწიფომ შექმნა ან დანიშნა თუ არა ერთი ან მეტი ოფიციალური ორგანო⁷, რომელიც პასუხისმგებელია იმ პოლიტიკისა და ზომების კოორდინაციასა და განხორციელებაზე, რომელიც მიმართულია კონვენციის სფეროში შემავალი ძალადობის ყველა ფორმის პრევენციისა და აღკვეთისკენ?

თუ კი, თითოეულ ორგანოსთან დაკავშირებით, გთხოვთ, წარმოადგინოთ შემდეგი ინფორმაცია:

- a. სახელი;
- b. ადმინისტრაციული სტატუსი;
- c. უფლებამოსილება და კომპეტენციები;
- d. შემადგენლობა (კერძოდ, წევრებს შორის არიან თუ არა არა-სამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში აქტიურად მუშაობენ);
- e. წლიური ბიუჯეტი;
- f. ადამიანური რესურსები (კერძოდ, თანამშრომელთა რაოდენობა, მათი პროფესიული გამოცდილება და გაიარეს თუ არა მათ კონვენციის შესახებ ჩატარებული ტრენინგები); და
- g. დაარსების შემდომ მიღწეული ძირითადი შედეგები.

2. სახელმწიფომ შექმნა ან დანიშნა თუ არა ერთი ან მეტი განცალკევებული ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია იმ პოლიტიკისა და ზომების მონიტორინგსა და შეფასებაზე, რომელიც მიმართულია კონვენციის სფეროში შემავალი ძალადობის ყველა ფორმის პრევენციისა და აღკვეთისკენ?

თუ კი, თითოეულ ორგანოსთან დაკავშირებით, გთხოვთ,

⁶ არა-სამთავრობო ორგანოებისა და სხვა სამოქალაქო საზოგადოების აქტორების მხარდაჭერა გულისხმობს სათანადო ფინანსური რესურსების გამოყოფას ამ აქტორების აქტივობებისათვის და მათი საქმიანობის აღიარებას “მაგალითად, მათი ექსპერტული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებით და მათი, როგორც პარტნიორების ჩართვით მრავალუწყებრივ ტანამშრომლობაში ან კომპლექსური სამთავრობო პოლიტიკის იმპლემენტაციაში, რომელსაც მე-7 მუხლი მოითხოვს” (განმარტებითი ბარათი, პუნქტები 66 და 69).

⁷ ტერმინი “ოფიციალური ორგანო” გაგებული უნდა იქნას, როგორც ნებისმიერი სამთავრობო უწყება ან დაწესებულება (განმარტებითი ბარათი, პუნქტი 70).

წარმოადგინოთ შემდეგი ინფორმაცია:

- a. სახელი;
- b. ადმინისტრაციული სტატუსი;
- c. უფლებამოსილება და კომპეტენციები;
- d. შემადგენლობა (კერძოდ, წევრებს შორის არიან თუ არა არა-სამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში აქტიურად მუშაობენ);
- e. წლიური ბიუჯეტი;
- f. ადამიანური რესურსები (კერძოდ, თანამშრომელთა რაოდენობა, მათი პროფესიული გამოცდილება და გაიარეს თუ არა მათ კონვენციის შესახებ ჩატარებული ტრენინგები); და
- g. დაარსების შემდომ მიღწეული ძირითადი შედეგები.

E. 1. გთხოვთ, დაასახელოთ ის უწყებები ⁸, რომლებიც ახორციელებენ შესაბამისი მონაცემების შეგროვებას და რა ტიპის მონაცემებს აგროვებს თითოეული მათგანი.

2. თითოეული ტიპის მონაცემებთან დაკავშირებით, გთხოვთ, მიუთითოთ, ხდება თუ არა მონაცემების ჩაშლა სქესის, ასაკის, ძალადობის ტიპისა და ასევე, მოძალადესა და მსხვერპლს შორის არსებული კავშირის, გეოგრაფიული მდებარეობისა და ნებისმიერი სხვა რელევანტური ფაქტორის მიხედვით - მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობა.

3. როგორ ხდება მონაცემების შეგროვება და ეროვნულ დონეზე გასაჯაროვება?

F. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია მთავრობის მიერ მხარდაჭერილი კვლევის შესახებ, 2013-2017 წლებში, მე-11 მუხლის 1”ბ” პუნქტის შესაბამისად.

G. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია მოსახლეობის გამოკითხვის შესახებ, რომელიც ჩატარდა ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით, მე-11 მუხლის მეორე პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად.

თითოეულ კვლევასთან დაკავშირებით, გთხოვთ, მიუთითოთ:

⁸ გთხოვთ, განმარტეთ, მონაცემების შეგროვება ხდება თუ არა სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული ყველა იმ უწყების მიერ, რომელსაც მოეთხოვება მსხვერპლთა დახმარება და ძალადობის პრევენცია. თუ კი, განმარტეთ, რა მონაცემების შეგროვება ხდება, მაგალითად:

a. სამართალდამცავი უწყებების/სისხლის სამართლისა და სამოქალაქო მართლმსაჯულების სამსახურების მიერ (მათ შორის, პოლიცია, პროკურატურა, სასამართლო, პენიტენციალური და პრობაციის სამსახურები);

b. ჯანდაცვის სამსახურები (მაგალითად, ექიმები, უბედურ და გადაუდებელ შემთხვევებზე რეგირების სამსახურები, საავადმყოფოები);

c. სოციალური სამსახურები, სოციალური უზრუნველყოფის სამსახური და მსხვერპლებზე მომუშავე სპეციალიზირებული სამსახურები (როგორც სამთავრობო, ისე არა-სამთავრობო); და

d. სხვა ოფიციალური ორგანოები, რომელთაც ზოგადად მონაცემთა შეგროვების მანდატი აქვთ - მაგალითად, სტატისტიკის სამსახური/ბიურო.

1. კვლევით მოცული ძალადობის ფორმა (ფორმები);
2. კვლევის გეოგრაფიული მასშტაბი (ქვეყნის მასშტაბით, რეგიონული თუ ადგილობრივი);
3. ძირითადი შედეგები და
4. შედეგები არის თუ არა საჯაროდ ხელმისაწვდომი (მიუთითეთ წყაროები).

III. პრევენცია

(კონვენციის მე-3 თავი, მუხლები 12-17)

პრევენციის სფეროში მე-12 მუხლის 1-6 პუნქტებით გათვალისწინებულ ყოვლისმომცველ ზოგად მოვალეობებთან დაკავშირებით, გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია მიღებული პრევენციული ზომების შესახებ, მათ შორის, ქალისა და მამაკაცის ქცევის სოციალურ და კულტურულ მოდელებში ცვლილებების დასაწინააღმდეგებლად იმ მიზნით, რომ აღმოიფხვრას ის ცრურწმენები, ადათ-წესები, ტრადიციები და ყველა სხვა პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება ქალთა არასრულფასოვნების იდეას ან ქალისა და მამაკაცის როლის სტერეოტიპულ წარმოდგენებს. აღნიშნული პრევენციული ზომები უნდა თვალისწინებდეს იმ პირების კონკრეტულ საჭიროებებს, რომლებიც მოწყველადი გახდნენ განსაკუთრებული გარემოებების გამო და ასეთი ზომების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს ძალადობის ყველა მსხვერპლის ადამიანის უფლებები. ეს ზომები, ასევე, უნდა ახალისებდეს საზოგადოების ყველა წევრს, განსაკუთრებით მამაკაცებსა და ბიჭებს, რათა მათ აქტიური წვლილი შეიტანონ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ყველა ფორმის პრევენციაში და უნდა ითვალისწინებდეს ქალებისათვის შესაძლებლობების გაზრდისკენ მიმართული პროგრამებისა და საქმიანობის მხარდაჭერას. გთხოვთ, ასევე, დაასახელოთ ზომები, სახელმწიფომ მიიღო იმის უზრუნველსაყოფად, რომ კულტურა, ადათ-წესები, ტრადიციები და ეგრეთ წოდებული “ღირსების საკითხი” არ ჩაითვალოს ძალადობის ნებისმიერი აქტის გასამართლებელ მიზეზად.

გაითვალისწინეთ, რომ ზემოაღნიშნული პრინციპები ვრცელდება ყველა პრევენციულ ზომაზე, რომელიც მე-3 თავით გათვალისწინებული მოვალეობების შესაბამისად განხორციელდა.

- A. კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ნებისმიერ ფორმასთან დაკავშირებით სახელმწიფომ რა სახის **კამპანიებსა და პროგრამებს** შეუწყო ხელი ან განახორციელა, მე-13 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად?
- B. რა სახის ნაბიჯები გადაიდგა ოფიციალურ სასწავლო პროგრამებში, განათლების ყველა დონეზე და/ან არაფორმალურ განათლებაში **სასწავლო მასალის** გასათვალისწინებლად ⁹, მე-14 მუხლის პირველი პუნქტის

⁹ ტერმინი “სასწავლო მასალა” გულისხმობს მასალას ისეთ საკითხებზე, როგორცაა ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორობა, არა-სტერეოტიპული გენდერული როლები, ურთიერთპატივისცემა,

შესაბამისად?

- C.** დანართში წარმოდგენილი N1 ცხრილის გამოყენებით, გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია იმ სპეციალისტთა კატეგორიების შესახებ, რომელიც გადის მომზადებას (საგანმანათლებლო ან პროფესიული ტრენინგები), მე-15 მუხლის მოთხოვნის შესაბამისად¹⁰. თხრობითი ფორმით, შეგიძლიათ, ასევე წარმოადგინოთ დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ამ კონტექსტში რელევანტურად მიგაჩნიათ.
- D.** დანართში წარმოდგენილი N2 ცხრილის გამოყენებით, გთხოვთ, მიუთითოთ, თუ წელიწადში რამდენმა სპეციალისტმა გაიარა გადამზადების ტრენინგი ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ. თხრობითი ფორმით, შეგიძლიათ, ასევე წარმოადგინოთ დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ამ კონტექსტში რელევანტურად მიგაჩნიათ.
- E.** გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია იმ ქმედებების შესახებ, რომელიც განხორციელდა ოჯახში ძალადობის აქტების ჩამდენი პირებისათვის განკუთვნილი პროგრამების შესამუშავებლად ან მხარდასაჭერად, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად. კერძოდ, წარმოადგინეთ დეტალური ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე:
1. არსებული პროგრამების საერთო რაოდენობა, მათი გეოგრაფიული გადანაწილება, განმახორციელებელი დაწესებულება/უწყება/ორგანო (პენიტენციური სამსახური, პრობაციის სამსახური, არა-სამთავრობო ორგანიზაციები, სხვა), სავალდებულოა თუ ნებაყოფლობითია ეს პროგრამები, რამდენი ადამიანის ჩართვაა შესაძლებელი და რამდენი მოძალადეა ჩარიცხული ყოველწლიურად ამ პროგრამებში;
 2. ამ პროგრამების ფარგლებში მიღებული ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მსხვერპლი ქალების უსაფრთხოებას, მხარდაჭერას და ადამიანის უფლებებს, და პროგრამები განხორციელდეს მსხვერპლის მხარდაჭერის სპეციალიზებულ სამსახურებთან მჭიდრო კოორდინაციით;
 3. რამდენად ეფუძნება ეს პროგრამები ქალთა მიმართ ძალადობის გენდერულ გაგებას;
 4. ამ პროგრამების დაფინანსების წყაროები და ყოველწლიურად გამოყოფილი თანხის ოდენობა; და
 5. პროგრამების გავლენის შესაფასებლად მიღებული ზომები.

კონფლიქტის არა-ძალადობრივი გადაჭრა ადამიანთაშორის ურთიერთობებში, გენდერის ნიშნით მოტივირებული ძალადობა ქალთა წინააღმდეგ და პირადი ხელშეუხებლობის უფლება.

¹⁰ აღნიშნული მოიცავს ტრენინგს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციასა და გამოვლენაზე, ინტერვენციის სტანდარტებზე, ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე, მსხვერპლთა უფლებებსა და საჭიროებებზე, მეორადი ძალადობის პრევენციაზე, მრავალუწყებრივ თანამშრომლობაზე.

- F.** გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია იმ ქმედებების შესახებ, რომელიც განხორციელდა სექსუალური ძალადობის აქტების ჩამდენი პირებისათვის განკუთვნილი პროგრამების შესამუშავებლად ან მხარდასაჭერად, მე-16 მუხლის მეორე პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად. კერძოდ, წარმოადგინეთ დეტალური ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე:
1. არსებული პროგრამების საერთო რაოდენობა, მათი გეოგრაფიული გადანაწილება, განმახორციელებელი დაწესებულება/უწყება/ორგანო (პენიტენციური სამსახური, პრობაციის სამსახური, არა-სამთავრობო ორგანიზაციები, სხვა), სავალდებულოა თუ ნებაყოფლობითია ეს პროგრამები, რამდენი ადამიანის ჩართვაა შესაძლებელი და რამდენი მოძალადეა ჩარიცხული ყოველწლიურად ამ პროგრამებში;
 2. ამ პროგრამების ფარგლებში მიღებული ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მსხვერპლი ქალების უსაფრთხოებას, მხარდაჭერას და ადამიანის უფლებებს, და პროგრამები განხორციელდეს მსხვერპლის მხარდაჭერის სპეციალიზებულ სამსახურებთან მჭიდრო კოორდინაციით;
 3. რამდენად ეფუძნება ეს პროგრამები ქალთა მიმართ ძალადობის გენდერულ გაგებას;
 4. ამ პროგრამების დაფინანსების წყაროები და ყოველწლიურად გამოყოფილი თანხის ოდენობა; და
 5. პროგრამების გავლენის შესაფასებლად მიღებული ზომები.
- G.** რა ზომები მიიღო სახელმწიფომ, იმისათვის, რომ კერძო სექტორს, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, სოციალური მედიის ჩათვლით, მონაწილეობა მიეღოთ პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში, მე-17 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად?
- H.** გთხოვთ, დაასახელოთ, ის კონკრეტული თვითრეგულირების სტანდარტები - ისეთი, როგორცაა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების (სოციალური მედიის ჩათვლით) ქცევის კოდექსი, რომელიც არსებობს ქალთა მიმართ ძალადობის და/ან გენდერული თანასწორობის სფეროში (მაგალითად, საზიანო გენდერული სტერეოტიპებისგან და ქალთა დამამცირებელი გამოსახულებების ან ისეთი გამოსახულებების გავრცელებისაგან თავის შეკავება, რომელიც ძალადობასა და სექსს ერთმანეთს უკავშირებს).
- I.** რა ზომები იქნა მიღებული ისეთი ოქმების ან სახელმძღვანელო პრინციპების შექმნის ხელშესაწყობად, რომელიც, მაგალითად, შეეხება, სამუშაო ადგილას სექსუალური შევიწროვებაზე რეაგირებას, და ადამიანური რესურსების თანამშრომელთა ცნობიერების ასამაღლებლად ქალთა მიმართ ძალადობის, მათ შორის ოჯახში ძალადობის საკითხებზე?

- J. გთხოვთ, დაასახელოთ ნებისმიერი სხვა ზომები, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის მიზნით განხორციელდა ან იგეგმება.

IV. დაცვა და მხარდაჭერა

(კონვენციის მე-4 თავი, მუხლები 18-28)

გთხოვთ, წარმოადგინოთ ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომელიც განხორციელდა კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ნებისმიერი ფორმის მსხვერპლი ქალებისა და არასრულწლოვანი მოწმეებისათვის დაცვისა და მხარდაჭერის შეთავაზების მიზნით, მე-18 მუხლის 1 და 2 პუნქტების მოთხოვნის შესაბამისად. აღნიშნული მოიცავს ღონისძიებებს მრავალუწყებრივი თანამშრომლობისა და ზოგადი და სპეციალური მხარდაჭერითი სამსახურებისათვის საქმეთა ეფექტურად გადაცემის უზრუნველსაყოფად. გთხოვთ, გაითვალისწინოთ მე-18 მუხლის მესამე პუნქტში წარმოდგენილი ზოგადი პრინციპები, რომელიც უნდა გავრცელდეს იმ ყველა ღონისძიებაზე, რომელიც კონვენციის მე-4 თავის იმპლემენტაციის მიზნით ხორციელდება. აღნიშნული მოიცავს ქალთა მიმართ ძალადობის გენდერულ გაგებას, ყურადღების გამახვილებას მსხვერპლთა უსაფრთხოებასა და ადამიანის უფლებებზე და კომპლექსურ მიდგომას დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურებზე. დაცვისა და მხარდაჭერის ყველა ღონისძიება, ასევე, მიზნად უნდა ისახავდეს მეორადი ძალადობის თავიდან აცილებას, პასუხობდეს მოწყველადი ადამიანების, მათ შორის არასრულწლოვან მსხვერპლთა სპეციფიურ საჭიროებებს და მიზნად ისახავდეს ძალადობის მსხვერპლი ქალების შესაძლებლობების გაფართოებას და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. ამასთან, ზოგადი და სპეციალიზირებული მხარდაჭერის მომსახურების შეთავაზება არ უნდა იყოს დამოკიდებული მსხვერპლის მზადყოფნაზე, ბრალი დასდოს მოძალადეს ან ჩვენება მისცეს მის წინააღმდეგ.

- A. გთხოვთ, წარმოადგინოთ დეტალური ინფორმაცია იმ ქმედებების შესახებ, რომელიც განხორციელდა იმის უზრუნველსაყოფად, რომ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ნებისმიერი ფორმის მსხვერპლი ქალები იღებენ ინფორმაციას მათთვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერის სამსახურებისა და სამართლებრივი ღონისძიებების შესახებ, მე-19 მუხლის მოთხოვნის შესაბამისად. ეს ინფორმაცია უნდა იყოს ადექვატური ¹¹ ,

¹¹ “ადექვატური ინფორმაცია” გულისხმობს ინფორმაციას, რომელიც საკმარისად აკმაყოფილებს მსხვერპლის ინფორმაციულ საჭიროებას. აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს, მაგალითად, არა მხოლოდ მხარდაჭერის მომსახურების გამწევი ორგანიზაციის სახელის მიწოდებას, არამედ, ლიფლეტის გამოცემას, რომელიც შეიცავს ორგანიზაციის საკონტაქტო ინფორმაციას, სამუშაო საათებსა და ორგანიზაციის მიერ უზრუნველყოფილი ზუსტი სერვისების შესახებ ინფორმაციას (განმარტებითი ბარათი, პუნქტი 124).

დროული¹² და მათთვის გასაგებ ენაზე წარმოდგენილი¹³.

B. 1. გთხოვთ, მოკლედ აღწერეთ ის ზომები, რომელიც განხორციელდა იმის უზრუნველსაყოფად, რომ მხარდაჭერის ქვემოთ წარმოდგენილი საერთო სამსახურები ¹⁴ (რომელზეც მიუთითებს მე-20 მუხლის პირველი პუნქტი) სისტემატურად ითვალისწინებს მსხვერპლ ქალთა მდგომარეობას, იყენებს ზომებსა და ინტერვენციებს მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და აღჭურვილია მათი სპეციფიური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და მათი სპეციალიზირებულ სამსახურებში გადამისამართებისათვის.

- a. ფინანსური მხარდაჭერის სამსახური;
- b. თავშესაფრის სამსახური;
- c. სამართლებრივი კონსულტაციის სამსახური;
- d. ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სამსახური;
- e. განათლებისა და პროფესიული მომზადების სამსახური;
- f. დასაქმების სამსახური, და
- g. ნებისმიერი სხვა შესაბამისი სამსახური.

2. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია იმ ზომების შესახებ, რომელიც მე-20 მუხლის მერე პუნქტთან დაკავშირებით განხორციელდა, იმისათვის, რომ მსხვერპლმა ქალებმა ისარგებლონ სამედიცინო და სოციალურ მომსახურებაზე წვდომით. გთხოვთ, ასევე წარმოადგინოთ ინფორმაცია იმ ოქმებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ, რომელიც განკუთვნილია მსხვერპლ ქალთა დამხმარე პერსონალისათვის და მსხვერპლ ქალთა დამატებით სათანადო სამსახურებში გადამისამართებისათვის.

3. ყოველწლიურად ძალადობის მსხვერპლი რამდენი ქალი იღებს დახმარებას ჯანმრთელობისა და სოციალური სამსახურებისგან?

C. რა ნაბიჯები გადაიდგა იმისათვის, რომ მსხვერპლს გააჩნდეს ინფორმაცია და ხელი მიუწვდებოდეს რეგიონული ან საერთაშორისო ინდივიდუალური/კოლექტიური საჩივრების მოქმედ მექანიზმებზე (სამართლებრივი კონსულტაციის ჩათვლით) (მუხლი 21)¹⁵?

D. გთხოვთ აღწეროთ ის ზომები, რომელიც განხორციელდა 22-ე, 23-ე და 25-ე მუხლებთან დაკავშირებით, ქალთა **მხარდაჭერის სპეციალიზირებული**

¹² “დროული ინფორმაცია” გულისხმობს ინფორმაციას, რომლის მიწოდებაც ხდება “იმ დროს, როდესაც მსხვერპლისათვის ეს ინფორმაცია არის სასარგებლო” (განმარტებითი ბარათი, პუნქტი 124).

¹³ აღნიშნული მოვალეობა მხოლოდ იმ ენებს შეეხება, რომელიც სახელმწიფოში ფართოდ არის გავრცელებული (განმარტებითი ბარათი, პუნქტი 124).

¹⁴ “მხარდაჭერის საერთო სამსახურები” შემდეგნაირად უნდა იქნას გაგებული: “ისეთი სახელმწიფო ორგანოების მიერ გაწეული დახმარება, როგორცაა სოციალური სამსახურები, ჯანდაცვის სამსახურები და დასაქმების სამსახურები, რომელიც უზრუნველყოფს გრძელვადიან მხარდაჭერას და არ არის შექმნილი მხოლოდ და მხოლოდ მსხვერპლის სასარგებლოდ, არამედ, ფართო საზოგადოებას ემსახურება” (განმარტებითი ბარათი, პუნქტი 125).

¹⁵ ინდივიდუალური საჩივრების შეტანა შესაძლებელია, მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ან გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტში, ხოლო კოლექტიური საჩივრების შეტანა შესაძლებელია ევროპის საბჭოს სოციალური უფლებების ევროპულ კომიტეტში.

სამსახურების¹⁶ უზრუნველყოფის ან შექმნის მიზნით, ძალადობის სმხვერპლი ყველა ქალისთვის და მათი შვილებისთვის.

მომსახურების თითოეულ კატეგორიასთან დაკავშირებით (ქალთა თავშესაფარი, გაუპატიურების ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა დახმარების ცენტრები, ქალთა საკონსულტაციო ცენტრები, ა.შ.), გთხოვთ, წარმოადგინოთ მონაცემები, რომელიც ჩამოილია ინდივიდუალური თავშესაფრის/კრიზისის ცენტრის/საკონსულტაციო ცენტრის/სხვა სამსახურის მიხედვით, შემდეგ საკითხებზე:

1. თავშესაფრების/ცენტრების რაოდენობა და გეოგრაფიული განწილება (მიუთითეთ, თუ რამდენი ქალის მიღების შესაძლებლობა აქვს ქალთა თავშესაფრებს¹⁷);
2. თითოეულ სამსახურში არსებული თანამშრომლების რაოდენობა, რომლებიც ანაზღაურებას იღებენ;
3. მათი ხელმისაწვდომობა (მაგ: დღეში 24 საათი, კვირაში 7 დღე ან სხვა);
4. ქალთა სპეციალიზირებული სამსახურების განსაზღვრის კრიტერიუმები, ინტერვენციის სტანდარტები, ოქმები და ნებისმიერი სახელმძღვანელო პრინციპები, რომელიც გამოიყენება ქალთა მიმართ ძალადობის გენდერული გაგების უზრუნველსაყოფად და ყურადღებას ამახვილებს მსხვერპლთა უსაფრთხოებაზე;
5. მსხვერპლთა რომელი ჯგუფებისათვის არის ეს სამსახურების ხელმისაწვდომი (მაგ. მხოლოდ ქალებისთვის, ბავშვებისთვის, მიგრანტი ქალებისთვის, შშმ ქალებისთვის და სხვა);
6. ყოველწლიურად რამდენი ადამიანი მიმართავს სამსახურებს დახმარებისთვის. გთხოვთ, წარმოადგინოთ კონკრეტული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ წელიწადში რამდენმა ქალმა ითხოვა ქალთა თავშესაფარში განთავსება და რამდენი განთავსდა თავის შვილებთან ერთად.
7. დაფინანსება (წყაროები, დაფინანსების პერიოდები, სამართლებრივი საფუძველი);
8. ვინ მართავს ამ სამსახურებს (მაგ., ქალთა არა-სამთავრობო ორგანიზაცია, სხვა არა-სამთავრობო ორგანიზაცია, რელიგიაზე დაფუძნებული ორგანიზაცია, ადგილობრივი მთავრობა);
9. უფასოა თუ არა მათი მომსახურება ყველა ქალისათვის (ე.ი.

¹⁶ მხარდაჭერის სპეციალიზირებული სამსახურები გულისხმობს ქალთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმის მსხვერპლთათვის განკუთვნილ მომსახურებას, რომელიც შედგება "სპეციალიზირებული და გამოცდილი თანამშრომლებისგან, რომელთაც გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობის შესახებ ღრმა ცოდნა გააჩნიათ", მათ შორისაა საკონსულტაციო ცენტრები, თავშესაფრები, გაუპატიურების მსხვერპლთა დახმარების ცენტრები და სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა გადამისამართების ცენტრები.

¹⁷ "ქალთა მიმართ ძალადობის, მათ შორის ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპის საბჭოს სამუშაო ჯგუფის საქმიანობის საბოლოო ანგარიშის" (EG-TFV (2008)6) თანახმად, რეკომენდირებულია, რომ თითოეულ რეგიონში უსაფრთხო განთავსების მიზნით ხელმისაწვდომი იყოს ქალთა სპეციალიზირებული თავშესაფრები, ხოლო ამ თავშესაფრებში არსებული ადგილების რაოდენობა უნდა იყოს ყოველ 10 000 ადამიანზე 1 ადგილი.

- მიუხედავად მათი შემოსავლისა);
10. კოორდინაცია სპეციალიზირებული მხარდაჭერის სამსახურებსა და ზოგადი მხარდაჭერის სამსახურებს შორის.

E. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია იმ ღონისძიებებზე, რომელიც განხორციელდა სატელეფონო დახმარების ცხელი ხაზების შესაქმნელად, რომელიც სატელეფონო ზარების ავტორებს გაუწევს კონსულტაციას კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ყველა ფორმასთან დაკავშირებით, 24-ე მუხლის შესაბამისად.

აღნიშნულ კონტექსტში, გთხოვთ, წარმოადგინოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. სატელეფონო ცხელი ხაზები მოქმედებს თუ არა მთელი ქვეყნის მასშტაბით;
2. არის თუ არა უფასო;
3. მუშაობს თუ არა 24/7 რეჟიმში;
4. როგორ ხდება კონფიდენციალურობის და/ან ანონიმურობის დაცვა;
5. ოპერატორებმა, რომლებიც ზარებს პასუხობენ, გაიარეს თუ არა მომზადება ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის შესახებ; და
6. ყოველწლიურად რამდენი ზარი ხორციელდება ქალ მსხვერპლთა დახმარების თხოვნით.

F. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია, თუ რა სახის ღონისძიებები განხორციელდა იმის უზრუნველსაყოფად, რომ მსხვერპლთათვის ზემოაღნიშნული ზოგადი და სპეციალიზირებული მხარდაჭერის სერვისების მიწოდების პროცესში სათანადო ყურადღება დაეთმოს ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის **არასრულწლოვანი მოწმეების** უფლებებსა და საჭიროებებს, 26-ე მუხლის შესაბამისად, ასაკის შესაბამისი კონსულტაციის ჩათვლით.

G. გთხოვთ, მიუთითოთ ნებისმიერი **სხვა ღონისძიება**, მათ შორის შეტყობინების კუთხით განხორციელებული ღონისძიება, 27-ე და 28-ე მუხლების შესაბამისად, რომელიც განხორციელდა ან დაგეგმილია ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერისათვის.

V. მატერიალური სამართალი

(კონვენციის მე-5 თავი, მუხლები 29-48)

გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობის საკანონმდებლო ჩარჩოს შესახებ, განსაკუთრებით ქალთა მიმართ ძალადობის აქტების კრიმინალიზაციის, ასეთი აქტების (მათ შორის, ეგრეთ წოდებული “ღირსების” სახელით ჩადენილი დანაშაულის) მიუღებელი გამართლებების, სანქციებისა და იმ ზომების შესახებ, რომელიც განხორციელდა ქალ მსხვერპლთა შესაფერისი სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის საშუალებებით უზრუნველსაყოფად და მათი კომპენსაციის მოთხოვნის უფლების დასაცავად და ასევე, დავების მოგვარებასთან დაკავშირებული სავალდებულო ალტერნატიული პროცესების აკრძალვის მიზნით.

A. 1. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია არსებული შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს შესახებ (მაგალითად, სისხლის სამართალი, სამოქალაქო სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი), რომელიც უზრუნველყოფს კონვენციის დებულებების ამოქმედებას, მათ შორის, საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით გადადგმული ნაბიჯები.

2. თქვენი შიდასახელმწიფოებრივი სამართალი შეიცავს კონკრეტულ კანონმდებლობას ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით?

3. გთხოვთ, დანართის სახით წარმოადგინოთ შესაბამისი სამართლებრივი ტექსტებიდან ამონარიდები ან მათი მოკლე შინაარსი, მათ შორის კონკრეტული კანონმდებლობიდან, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობას ეხება. ეს ტექსტები წარმოდგენილი უნდა იქნას ევროპის საბჭოს რომელიმე ოფიციალურ ენაზე (ინგლისურად ან ფრანგულად) და ასევე, ორიგინალ ენაზე.

B. რა ქმედებები განხორციელდა იმისთვის, რომ შესაბამის სპეციალისტებს მიეღოთ ინსტრუქციები, თუ როგორ უნდა განხორციელდეს აღნიშნული საკანონმდებლო ჩარჩო (მაგ. პოლიციისა და სხვა სამართალდამცავი ორგანოებისათვის ოქმების მომზადება, პროკურორებისათვის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება და სპეციალური განყოფილებების შექმნა)?

C. გთხოვთ, დეტალურად აღწეროთ ის პროცედურები, რომელიც მსხვერპლ ქალებს **სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის საშუალებებით** უზრუნველყოფს:

1. მოძალადეთა წინააღმდეგ (29-ე მუხლის პირველი პუნქტი)¹⁸;
2. საჭიროების შემთხვევაში, **იმ სახელმწიფო ორგანოებთან მიმართებაში**, რომლებმაც ვერ შეასრულეს თავისი მოვალეობა, გაატარონ აუცილებელი პრევენციული ან დაცვითი ზომები თავისი უფლებამოსილების ფარგლებში (29-ე მუხლის მეორე პუნქტი)

გთხოვთ, წარმოადგინოთ წლებისა და ძალადობის ფორმების მიხედვით ჩაშლილი ნებისმიერი არსებული მონაცემები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- a. მოძალადეთა წინააღმდეგ გამოყენებული სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის საშუალებების რაოდენობა;
- b. სახელმწიფო ორგანოების წინააღმდეგ გამოყენებული სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის საშუალებების რაოდენობა;
- c. "a" და "b" კატეგორიების ფარგლებში დაკმაყოფილებული

¹⁸ სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის საშუალებები მოძალადეთა წინააღმდეგ მოიცავს პირისათვის გარკვეული ქმედების შეწყვეტის, მომავალში გარკვეული ქმედებისგან თავის შეკავების ან გარკვეული ქმედების განხორციელების დავალებას (სასამართლოს დავალება/მითითება) (განმარტებითი ბარათი, პუნქტი 157).

სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის საშუალებების რაოდენობა.

D. გთხოვთ, წარმოადგინოთ დეტალური ინფორმაცია იმ პროცედურების შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომია მსხვერპლი ქალებისათვის:

1. მოძალადისაგან კომპენსაციის მოთხოვნის მიზნით, კონვენციის შესაბამისად დადგენილი ნებისმიერი დანაშაულის გამო (30-ე მუხლის პირველი პუნქტი);
2. სახელმწიფოსგან კომპენსაციის მიღების მიზნით, როდესაც კონვენციის შესაბამისად დადგენილი ნებისმიერი დანაშაულის შედეგად მსხვერპლმა მიიღო სხეულის მძიმე დაზიანებები ან ჯანმრთელობის შერყევა (30-ე მუხლის მეორე პუნქტი).

გთხოვთ, წარმოადგინოთ წლებისა და ძალადობის ფორმების მიხედვით ჩაშლილი ნებისმიერი არსებული მონაცემები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

1. მსხვერპლ ქალთა რაოდენობა, რომელთაც მოითხოვეს კომპენსაცია მოძალადეებისაგან;
2. მსხვერპლ ქალთა რაოდენობა, რომელთაც მიიღეს ასეთი კომპენსაცია. მიუთითეთ, თუ რა ვადები დაუწესდათ მოძალადეებს კომპენსაციის გადასახდელად;
3. რამდენჯერ იქნა სახელმწიფოსგან კომპენსაცია მოთხოვნილი;
4. მსხვერპლ ქალთა რაოდენობა, რომელთაც სახელმწიფოსგან კომპენსაცია მიიღეს. მიუთითეთ კომპენსაციების გაცემის ვადები და გაცემული კომპენსაციების რაოდენობები.

E. გთხოვთ, წარმოადგინოთ დეტალური ინფორმაცია იმ არსებული პროცედურების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფენ:

1. ბავშვთა მეურვეობისა და მონახულების უფლებების განსაზღვრისას ქალთა მიმართ ძალადობის ინციდენტების გათვალისწინებას (31-ე მუხლის პირველი პუნქტი) აღმატებული მნიშვნელობის საკითხის სახით;
2. მეურვეობის ან მონახულების ნებისმიერი უფლების გამოყენებისას მსხვერპლი ქალებისა და მათი შვილების დაცვას რაიმე სხვა დამატებითი ზიანისგან (31-ე მუხლის მეორე პუნქტი). გთხოვთ, წარმოადგინოთ მაგალითები, თუ როგორ ხდება ამ პროცედურების განხორციელება.

F. გთხოვთ, განმარტოთ, თუ როგორ ახდენს თქვენი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ძალადობის შემდეგი ფორმების კრიმინალიზაციას:

1. ფსიქოლოგიური ძალადობა, რომელსაც განსაზღვრავს 33-ე მუხლი
2. ადევნება, რომელსაც განსაზღვრავს 34¹⁹-ე მუხლი¹⁹

¹⁹ ასევე, იხ. განმარტებითი ბარათის 182-ე პუნქტი

3. **ფიზიკური ძალადობა**, რომელსაც განსაზღვრავს 35²⁰-ე მუხლი²⁰
4. **სექსუალური ძალადობა**, მათ შორის გაუპატიურება, რომელსაც განსაზღვრავს 36-ე მუხლის პირველი პუნქტი, 36-ე მუხლის მეორე პუნქტში წარმოდგენილი თანხმობის განმარტების სათანადო გათვალისწინებით

გთხოვთ, ასევე განმარტოთ, როგორ ახდენს თქვენი შიდასახელმწიფოებრივი სამართალი ამჟამინდელი ან ყოფილი მეუღლის ან პარტნიორის მიმართ ჩადენილი სექსუალური ძალადობის აქტის, მათ შორის გაუპატიურების კრიმინალიზაციას (36-ე მუხლის მესამე პუნქტი)

გთხოვთ, განმარტოთ, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის თანახმად, რა ასაკიდან ითვლება პირი ქმედუნარიანად, რათა გასცეს თანხმობა სექსუალურ აქტთან დაკავშირებით;
5. **იძულებითი ქორწინება**, რომელსაც განსაზღვრავს 37-ე მუხლი;
6. **ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრება**, რომელსაც განსაზღვრავს 38-ე მუხლი;
7. **იძულებითი აბორტი**, რომელსაც განსაზღვრავს 39-ე მუხლის "ა" პუნქტი;
8. **იძულებითი სტერილიზაცია**, რომელსაც განსაზღვრავს 39-ე მუხლის "ბ" პუნქტი.

G. როგორ ახდენს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა სექსუალური შევიწროების (მუხლი 40) კრიმინალიზაციას ან მასზე სხვაგვარად რეგირებას?

H. როგორ რეაგირებს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ხელშეწყობაზე ან თანამონაწილეობის მცდელობაზე, ფსიქოლოგიურ ძალადობასთან, სექსუალურ ძალადობასთან (მათ შორის, გაუპატიურება), იძულებით ქორწინებასთან, ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრებასთან, იძულებით აბორტთან და იძულებით სტერილიზაციასთან მიმართებით (41-ე მუხლის პირველი პუნქტი)?

I. როგორ რეაგირებს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ფიზიკური ძალადობის, სექსუალური ძალადობის (მათ შორის, გაუპატიურების), იძულებითი ქორწინების, ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრების, იძულებითი აბორტის და იძულებითი სტერილიზაციის მცდელობებზე (41-ე მუხლის მეორე პუნქტი)?

J. თქვენი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა როგორ უზრუნველყოფს იმას, რომ კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ნებისმიერი აქტის ჩადენასთან დაკავშირებით აღძრული სამართლის პროცესის დროს **კულტურა, ადათ-წესები, რელიგია, ტრადიციები ან ე.წ. "ღირსების საკითხი"** არ ჩაითვალოს ასეთი აქტების გამამართლებელ ან შემამსუბუქებელ გარემოებებად (მუხლი 42)?

²⁰ ასევე, იხ. განმარტებითი ბარათის 188-3 პუნქტი

- K.** გთხოვთ, განმარტოთ, თქვენი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა როგორ უზრუნველყოფს, ამ კონვენციის შესაბამისად განსაზღვრული დანაშაულისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დადგომას **მსხვერპლსა და მოძალადეს შორის არსებული ურთიერთკავშირის** ხასიათის მიუხედავად (მუხლი 43).
- L.** კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის თითოეულ ფორმასთან დაკავშირებით, გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია:
1. შესაბამისი **სანქციების** შესახებ, მათ შორის, არა-სისხლის სამართლებრივი სანქციებისა და იმ სანქციების შესახებ, რომელიც მიზანშეწონილობის შესაბამისად, მოიცავს თავისუფლების აღკვეთას, რასაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს ექსტრადაცია (45-ე მუხლის პირველი პუნქტი);
 2. შესაბამისი დამატებითი **ზომები**, რომელიც შესაძლოა მიღებულ იქნას მოძალადის წინააღმდეგ, კერძოდ:
 - a. მსჯავრდებული პირების მონიტორინგი და ზედამხედველობა;
 - b. მშობლის უფლების ჩამორთმევა, თუ ბავშვის საუკეთესო ინტერესები, რომელთა შორის შეიძლება იყოს მსხვერპლის უსაფრთხოება, ვერ იქნება გარანტირებული სხვა ნებისმიერი გზით (45-ე მუხლის მეორე პუნქტი).
- M.** როგორ უზრუნველყოფს თქვენი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა 46-ე მუხლში დასახელებული გარემოებების **დამამძიმებელი გარემოებების** სახით გათვალისწინებას, თუ ისინი უკვე არ წარმოადგენენ დანაშაულის შემადგენლობის ნაწილს?
- N.** 1. როგორ უზრუნველყოფს თქვენი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა - სისხლის და სამოქალაქო სამართალი - **დავების მოგვარებასთან დაკავშირებული სავალდებულო ალტერნატიული პროცესების**, მათ შორის შუამავლობისა და მორიგების აკრძალვას, კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ყველა ფორმის ძალადობასთან მიმართებით (მუხლი 48)?
2. როგორ უზრუნველყოფს თქვენი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა, რომ აღნიშნული პროცესები სხვაგვარად არ გახდეს სავალდებულო ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის, მაგალითად გაცილებასთან ან განქორწინებასთან დაკავშირებით მიმდინარე წარმოების ფარგლებში.
- O.** გთხოვთ, წარმოადგინოთ ყოველწლიური ადმინისტრაციული და სასამართლო მონაცემები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
1. საქმეები, რომლის შედეგადაც გარდაიცვალა ქალი:
 - a. ასეთი საქმეების რაოდენობა;
 - b. ამ საქმეებიდან რამდენ საქმეში ჰქონდა სახელმწიფოს წინასწარი ცოდნა იმასთან დაკავშირებით, რომ ქალი განიცდიდა ძალადობას;

- c. აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებით მსჯავრდებული მოძალადეების რაოდენობა;
 - d. იმ სანქციებისა და დამატებითი ზომების რაოდენობა და ტიპი, რომელიც სისხლის სამართლებრივი წარმოების შედეგად დაეკისრა მოძალადეს (მათ შორის, თავისუფლების აღკვეთა), პირობითი სასჯელის ჩათვლით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), და მათი საშუალო ხანგრძლივობა.
2. ქალთა მიმართ ძალადობის აქტები, რომელიც მკვლელობის მცდელობას წარმოადგენს:
- a. ასეთი საქმეების რაოდენობა;
 - b. ამ საქმეებიდან რამდენ საქმეში ჰქონდა სახელმწიფოს წინასწარი ცოდნა იმასთან დაკავშირებით, რომ ქალი განიცდიდა ძალადობას;
 - c. აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებით მსჯავრდებული მოძალადეების რაოდენობა;
 - d. იმ სანქციებისა და დამატებითი ზომების რაოდენობა და ტიპი, რომელიც სისხლის სამართლებრივი წარმოების შედეგად დაეკისრა მოძალადეს (მათ შორის, თავისუფლების აღკვეთა), პირობითი სასჯელის ჩათვლით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), და მათი საშუალო ხანგრძლივობა.
3. ქალთა მიმართ ძალადობის ყველა სხვა საქმე:
- a. სამართალდამცავ უწყებებში/სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ორგანოებში მსხვერპლთა მიერ შეტანილი საჩივრებისა და მესამე მხარეების მიერ წარდგენილი შეტყობინებების რაოდენობა;
 - b. შედეგად ინიცირებული სისხლის სამართლის საქმის წარმოების და/ან ნებისმიერი სხვა სამართლებრივი ქმედების რაოდენობა;
 - c. მსჯავრდებული მოძალადეების რაოდენობა;
 - d. სისხლის სამართლებრივი და სხვა დაკისრებული სანქციების რაოდენობა, მათი ტიპი (მაგალითად, ჯარიმა, სასამართლოს განჩინების საფუძველზე მოძალადეებისათვის განკუთვნილ პროგრამაში მონაწილეობა, თავისუფლების შეზღუდვა, თავისუფლების აღკვეთა), პირობითი სასჯელის ჩათვლით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), და მათი საშუალო ხანგრძლივობა.
 - e. დაკისრებული დამატებითი ზომების რაოდენობა და მათი ტიპი (მაგალითად, მოძალადის მონიტორინგი ან ზედამხედველობა, მშობლის უფლებების ჩამორთმევა);
 - f. იმ მოძალადეთა რაოდენობა, რომელთა მიმართ გამოყენებული იქნა 45-ე მუხლის მეორე პუნქტში მითითებული ზომები.

გთხოვთ, ზემოაღნიშნული მონაცემები წარმოადგინოთ წინამდებარე დოკუმენტში აღწერილი კრიტერიუმების საფუძველზე ჩამოლილი ფორმით (იხ. თავი I. შესავალი).

4. იმ საქმეების რაოდენობა, რომელთა შედეგადაც მსხვერპლი ქალების შვილები გარდაიცვალნენ.

P. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია მატერიალური სამართლის შესაბამისად მიღებული ან დაგეგმილი ნებისმიერი **სხვა ზომების** შესახებ, აღნიშნული ზომების გამოყენების მოთხოვნასთან დაკავშირებით არსებულ ნებისმიერ მონაცემებთან ერთად.

VI. გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა, პროცესუალური კანონი და დაცვითი ზომები (კონვენციის მე-6 თავი, მუხლები 49-58)

გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია კონვენციის 49-ე მუხლით დადგენილი პრინციპების შესაბამისად განხორციელებული ქმედების შესახებ, იმის უზრუნველსაყოფად, რომ

i) გამოძიება და სასამართლო საქმის წარმოება ხორციელდებოდეს გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე და, ამასთან, მხედველობაში მიიღებოდეს მსხვერპლის უფლებები სისხლის სამართლის საქმის წარმოების ყველა სტადიაზე; და

ii) ქალთა მიმართ ძალადობის აქტების გამოძიება და სისხლის სამართლებრივი დევნა ხდება ეფექტურად

ამ მიზნით, კომპეტენტურ ორგანოებს უნდა შეეძლოთ სწრაფად და სათანადოდ რეაგირება კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ყველა ფორმაზე, ამკრძალავი ორდერების ან შემაკავებელი თუ დამცავი ორდერების გაცემა და დაცვითი ზომების მიღება გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი წარმოების მიმდინარეობისას. არა-სამთავრობო/სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს უნდა შეეძლოთ დახმარების და/ან მხარდაჭერის აღმოჩენა მსხვერპლი ქალებისათვის, სამართალწარმოების პროცესში (მაგალითად, მესამე მხარეების სახით) და სათანადო ღონისძიებები უნდა იქნას მიღებული მსხვერპლი ქალების მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის ხელშესაწყობად.

A. 1. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია იმ ზომების შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ყველა ფორმაზე სამართალდამცავი უწყებების მხრიდან **სწრაფი და სათანადო** რეაგირების უზრუნველსაყოფად, მსხვერპლისათვის ადეკვატური და დაუყოვნებლივი დაცვის შეთავაზების გზით (მუხლი 50).

2. გთხოვთ, წარმოადგინოთ არსებული ადმინისტრაციული მონაცემები (იხ. თავი I. შესავალი) იმის შესახებ, თუ რამდენი ინტერვენცია

ხორციელდება ყოველწლიურად სამართალდამცავი უწყებების მიერ, ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით.

- B.** რა პროცედურები დაინერგა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ფატალური რისკის, სიტუაციის სერიოზულობისა და ძალადობის განმეორებით ჩადენის რისკის შეფასება მოხდეს ხელისუფლების ყველა შესაბამისი ორგანოს მიერ და სათანადოდ იქნას გათვალისწინებული გამომიებისა და დამცავი ზომების გამოყენების ყველა ეტაპზე (მუხლი 51)?
- C.** 1. გთხოვთ, განმარტოთ, რომელ ორგანოებს ენიჭებათ **ამკრძალავი ორდერის** გაცემის უფლებამოსილება, როდესაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლი (ან ოჯახში ძალადობის რისკის ქვეშ მყოფი) ქალი იმყოფება უშუალო საფრთხეში, როგორც ეს მითითებულია 52-ე მუხლში (ე.ი. ორდერი იმის შესახებ, რომ ოჯახში ძალადობის ჩამდენმა პირმა დატოვოს მსხვერპლის ან რისკის ქვეშ მყოფი პირის საცხოვრებელი ადგილი საკმარისი დროით და აუკრძალოს დამნაშავეს მსხვერპლის ან რისკის ქვეშ მყოფი პიროვნების საცხოვრებელ ადგილში შესვლა ან მათთან კონტაქტი)
2. გთხოვთ, წარმოადგინეთ შემდეგი ინფორმაცია:
- a. რა დრო სჭირდება ამკრძალავი ორდერის გაცემას;
 - b. რა მაქსიმალური ვადით გაიცემა ამკრძალავი ორდერი;
 - c. შესაძლებელია თუ არა ვადის გახანგრძლივება მანამ, სანამ არ მოხდება დამცავი ორდერის გაცემა;
 - d. შესაძლებელია თუ არა დამცავი ორდერის გაცემა ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ყველა ქალთან დაკავშირებით; თუ არა, განმარტეთ გამონაკლისი შემთხვევები;
 - e. რა ტიპის ზომები გამოიყენება ამკრძალავი ორდერის აღსრულების მიზნით და მსხვერპლი ქალის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;
 - f. რა სანქციების დაკისრებაა შესაძლებელი ამკრძალავი ორდერის დარღვევის შემთხვევაში;
 - g. იმ ქალებისათვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერა და კონსულტაცია, რომელთაც ამგვარი დაცვის მიღება სურთ.
3. გთხოვთ, წარმოადგინოთ ყოველწლიური ადმინისტრაციული და სასამართლო მონაცემები (იხ. თავი I. შესავალი) შემდეგ საკითხებზე:
- a. კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული ამკრძალავი ორდერების რაოდენობა;
 - b. ამ ორდერების დარღვევის შემთხვევების რაოდენობა;
 - c. დარღვევების შედეგად დაკისრებული სანქციების რაოდენობა.

D. როგორ ხდება შემაკავებელი ან დამცავი ორდერების ხელმისაწვდომობის

უზრუნველყოფა კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ყველა ფორმის მსხვერპლი ქალებისათვის (53-ე მუხლის პირველი პუნქტი)?

გთხოვთ, განმარტოთ:

1. რა პროცედურები არსებობს შემაკავებელი ან დამცავი ორდერების მოთხოვნისთვის;
2. გამოიყენება თუ არა შემაკავებელი ან დამცავი ორდერები კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ყველა მსხვერპლის მიმართ; თუ არა, გთხოვთ, დააკონკრეტოთ გამონაკლისი შემთხვევები;
3. მოეთხოვებათ თუ არა განმცხადებლებს/მსხვერპლ ქალებს რიამე მოსაკრებლის გადახდა (მიუთითეთ რაოდენობა);
4. გაცემიდან რამდენი ხნის შემდეგ შედის ძალაში ორდერი;
5. შემაკავებელი ან დამცავი ორდერების მაქსიმალური ვადა;
6. ხელმისაწვდომია თუ არა ეს ორდერები სხვა სამართლებრივი პროცედურებისგან დამოუკიდებლად ან მათზე დამატებითი;
7. დაშვებულია თუ არა შემაკავებელი ან დამცავი ორდერის შემდგომ სამართლებრივ პროცედურებში შეტანა.
8. სისხლის სამართლებრივი და სხვა სამართლებრივი სანქციები (მათ შორის, თავისუფლების აღკვეთა, ჯარიმები და ა.შ.), რომელთა დაკისრებაც შესაძლებელია დარღვევის შემთხვევაში; და
9. ამ სახის დაცვის მაძიებელი ქალებისათვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერა და კონსულტაცია.

E. გთხოვთ, წარმოადგინოთ ყოველწლიური ადმინისტრაციული და სასამართლო მონაცემები (იხ. თავი I. შესავალი) შემდეგ საკითხებზე:

1. კომპეტენტური ორგანოების მიერ გაცემული შემაკავებელი ან დამცავი ორდერების რაოდენობა;
2. ამ ორდერების დარღვევის შემთხვევების რაოდენობა;
3. დარღვევების შედეგად დაკისრებული სანქციების რაოდენობა.

F. 1. როგორ უზრუნველყოფს თქვენი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა *ex officio* სამართალწარმოების დაწყების შესაძლებლობას (ისე, რომ ასეთი წარმოების დაწყებისა და მსჯავრდების უზრუნველყოფის მოვალეობა მსხვერპლ ქალებს არ დაეკისროთ) კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის ფორმებთან დაკავშირებით (55-ე მუხლის პირველი პუნქტი)?

- a. გთხოვთ, დაასახელოთ ის ორგანოები, რომელთაც ასეთი წარმოების დაწყების უფლებამოსილება გააჩნიათ.
- b. გთხოვთ, მიუთითეთ, კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის თითოეულ ფორმასთან დაკავშირებით, კანონმდებლობაში, პოლიტიკაში ან სახელმძღვანელო პრინციპებში რომელი დებულებები განსაზღვრავს თუ როდის

არის ან არ არის სამართლებრივი დევნა საჯარო ინტერესის საგანი.

G. როგორ იძლევა თქვენი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა სამართლებრივი წარმოების *ex parte* გაგრძელების შესაძლებლობას (მაშინაც კი, თუ, მაგალითად, მსხვერპლი ქალი უკან გაიხმობს თავის ჩვენებას ან საჩივარს), როგორც ეს 55-ე მუხლის პირველ პუნქტშია მითითებული?

H. 1. როგორ უზრუნველყოფს თქვენი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა არა-სამთავრობო ორგანიზაციების ან სხვა სამოქალაქო საზოგადოების აქტორებისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე კონსულტანტებისათვის მსხვერპლის დახმარების და/ან მხარდაჭერის შესაძლებლობას, სამართლებრივი პროცესების დროს (55-ე მუხლის მეორე პუნქტი)?

2. გთხოვთ, განმარტოთ, თუ რა პირობებში არის აღნიშნული მონაწილეობა შესაძლებელი და ასევე, რა სამართლებრივი სტატუსი აქვთ მათ აღნიშნული სამართლებრივი პროცესების დროს.

I. 1. დაცვის რა ზომებია ხელმისაწვდომი საგამომიებო და სასამართლო პროცესების დროს (56-ე მუხლის პირველი პუნქტი)?

2. გთხოვთ, წარმოადგინოთ დეტალური ინფორმაცია 56-ე მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ ზომებთან დაკავშირებით, კერძოდ:

- მსხვერპლის ინფორმირება, ისეთ შემთხვევებში მაინც, როდესაც მსხვერპლი და მათი ოჯახები შეიძლება საფრთხეში იყვნენ, რომ დამნაშავე გაქცეულია ციხიდან ან გათავისუფლებულია დროებით ან საბოლოოდ;
- მსხვერპლისთვის იმის შესაძლებლობის მიცემა, შიდა კანონმდებლობის პროცესუალური წესების შესაბამისად, რომ მოუსმინონ მათ, წარადგინონ მტკიცებულება და გამოხატონ თავისი შეხედულებები, საჭიროებები და გულისტკივილი, პირდაპირ ან შუამავლის საშუალებით, და რომ ეს ყველაფერი განხილულ იქნეს;
- მსხვერპლისთვის შესაფერისი მხარდაჭერის მომსახურების მიწოდება ისე, რომ მათი უფლებები და ინტერესები სათანადოდ იყოს წარმოდგენილი და გათვალისწინებული;
- შეძლებისდაგვარად, სასამართლოსა და სამართალდამცავი ორგანოს შენობებში მსხვერპლსა და დამნაშავე პირებს შორის კონტაქტის თავიდან აცილების უზრუნველყოფა;

3. გთხოვთ, აღწეროთ, რა სპეციალური ზომებია ხელმისაწვდომი კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის მსხვერპლი და მოწმე არასრულწლოვნებისთვის დაცვის შეთავაზების მიზნით (56-ე მუხლის მეორე პუნქტი).

J. გთხოვთ, წარმოადგინეთ დეტალური ინფორმაცია მსხვერპლი ქალებისათვის უფასო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის შესახებ, 57-ე მუხლის მოთხოვნის თანახმად, შესაბამისობის კრიტერიუმების ჩათვლით.

K. გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია ნებისმიერი სხვა არსებული საგამოძიებო, სამართლებრივი დევნის, პროცედურული სამართლისა და დამცავი ზომების შესახებ, რომელიც უკავშირდება ქალთა მიმართ ძალადობას, ასეთი ზომების გამოყენებასთან დაკავშირებით არსებულ მონაცემებთან ერთად.

VII. მიგრაცია და თავშესაფარი

(კონვენციის მე-7 თავი, მუხლები 59 და 61)

გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ძალადობის მსხვერპლ მიგრანტ ქალებთან დაკავშირებით მიღებული ზომების შესახებ, რომელთა სტატუსიც მათ განსაკუთრებით მოწყველადს ხდის.

გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია იმ ზომების შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა თავშესაფრის მაძიებელ ქალებთან დაკავშირებით, რომლებიც გენდერზე დაფუძნებულ ძალადობას გაექცნენ.

A. 1. გთხოვთ, განმარტეთ, თუ როგორ უზრუნველყოფს ხელისუფლება მიგრანტი მსხვერპლი ქალებისათვის ავტონომიური ბინადრობის სტატუსის მინიჭების შესაძლებლობას შემდეგ შემთხვევებში:

- a. ქორწინების ან პარტნიორული ურთიერთობების დარღვევის შემთხვევაში, მიუხედავად ქორწინების ან პარტნიორული ურთიერთობის ხანგრძლივობისა (59-ე მუხლის პირველი პუნქტი);
- b. (მოძალადე) მეუღლის ან პარტნიორის ქვეყნიდან გაძევების შემთხვევაში, ვისზეც დამოკიდებულია მსხვერპლის ბინადრობის სტატუსი (59-ე მუხლის მეორე პუნქტი);
- c. თუ მისი დარჩენა ქვეყანაში აუცილებელია პირადი სიტუაციიდან გამომდინაე (59-ე მუხლის მე-3 მუხლის "ა" ქვე-პუნქტი);
- d. თუ მისი დარჩენა ქვეყანაში აუცილებელია გამოძიებასა და სისხლის სამართლის პროცესში თანამშრომლობისათვის (59-ე მუხლის მე-3 პუნქტის "ბ" ქვე-პუნქტი);
- e. თუ იძულებითი ქორწინების მსხვერპლმა, რომელიც თავისი საცხოვრებელი ქვეყნიდან ქორწინების მიზნით წაიყვანეს, დაკარგა ბინადრობის სტატუსი (59-ე მუხლის მეოთხე პუნქტი).

2. გთხოვთ, წარმოადგინოთ მონაცემები იმის თაობაზე, თუ რამდენ ქალს მიენიჭა ქვეყანაში დარჩენის უფლება A.1.a- A.1.e პუნქტებში წარმოდგენილი რომელიმე მიზეზის საფუძველზე. მონაცემები დაყავით ქვე-კატეგორიებად, ბინადრობის მინიჭებული სტატუსის სხვადასხვა ტიპების შესაბამისად (მუდმივი ბინადრობის სტატუსი, განახლებადი ბინადრობის სტატუსი და სხვა).

- B.** 1. თქვენი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა აღიარებს ქალთა მიმართ ძალადობას გენდერული ნიშნით, როგორც დევნის ფორმას თავშესაფრის მოთხოვნების განხილვისას, 60-ე მუხლის პუნქტის პირველი პუნქტის²¹ შესაბამისად?
2. როგორ უზრუნველყოფთ ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1(2) მუხლში წარმოდგენილი დევნის ფორმების ინტერპრეტაციას გენდერული ფაქტორის გათვალისწინებით²²?
3. გთხოვთ, წარმოადგინოთ მონაცემები მსხვერპლი ან რისკის ქვეშ მყოფი ქალების რაოდენობის შესახებ, რომელთაც მიენიჭათ ლტოლვილის სტატუსი კონვენციით გათვალისწინებული ერთი ან მეტი საფუძველით, 60-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, იმ ქალების საერთო რაოდენობასთან შედარებით, რომელთაც თქვენს ქვეყანაში თავშესაფარი ითხოვეს.
4. გთხოვთ, წარმოადგინოთ მონაცემები მსხვერპლი ან რისკის ქვეშ მყოფი ქალების შესახებ, რომელთაც აღნიშნულის საფუძველზე მიიღეს დამატებითი/სუბსიდიარული დაცვა.

C. გთხოვთ, განმარტოთ, თუ რა ნაბიჯები გადაიდგა იმისათვის, რომ შემუშავებულიყო:

- a. გენდერულად მგრძობიარე მიღების პროცედურები თავშესაფრის მაძიებელთათვის;
- b. გენდერული სახელმძღვანელო პრინციპები
- c. თავშესაფრის მიცემის პროცედურები გენდერის ფაქტორის გათვალისწინებით, მათ შორის ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრისა და საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის დროს, 60-ე მუხლის შესაბამისად.

²¹ სტამბოლის კონვენციის 60-ე მუხლის პირველი პუნქტი მიუთითებს ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლზე, რომლის თანახმადაც ტერმინი “ლტოლვილი” ნიშნავს პირს, რომელიც “საფუძვლიანი შიშის გამო, რომ იგი შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური მრწამსის გამო, იმყოფება თავისი მოქალაქეობის ქვეყნის გარეთ და არ შეუძლია ან არ სურს ამგვარი შიშის გამო ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით, ან არ გააჩნია რა გარკვეული მოქალაქეობა და მსგავს მოვლენათა შედეგად იმყოფება რა თავის ადრინელი საცხოვრებელი ქვეყნის გარეთ, არ შეუძლია ან ამგვარი შიშის გამო არ სურს იქ დაბრუნება.”

²² იხ. მაგალითად, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო დაცვის შესახებ: გენდერთან დაკავშირებული დევნა 1951 წლის კონვენციის 1A(2) მუხლის და/ან კონვენციის 1867 წლის ოქმის კონტექსტში.

- D.** როგორ უზრუნველყოფთ, რომ ქალები, რომელთაც თავშესაფარზე უარი ეთქვათ, არ იქნან დაბრუნებული იმ ქვეყანაში, სადაც მათ სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება ან სადაც ისინი, შესაძლოა, დაექვემდებარონ არასათანადო მოპყრობას (მათ შორის, ძალადობას გენდერის ნიშნით, რაც არასათანადო მოპყრობას წარმოადგენს), 61-ე მუხლის შესაბამისად?
- E.** გთხოვთ, წარმოადგინოთ ინფორმაცია **სხვა ზომების** შესახებ, რომელთა მიღებაც ხდება მსხვერპლი მიგრანტი ქალებისა და თავშესაფრის მაძიებელი ქალების დასაცავად, იმიგრაციისა და ლტოლვიტა სამართლის სფეროში.

ცხრილი 2: გადამზადების ტრენინგები

	მომზადებული სპეციალისტების რაოდენობა	არის თუ არა სავალდებუ ლო	კურიკულუმის საშუალო ხანგრძლივობა	პერიოდულობა	დაფინანსების წყარო	ორგანო, რომელსაც ევალება გადამზადების ტრენინგების ჩატარება/სერტიფიცირ ება	ტრენინგები, რომელიც მზარდაჭერილია სახელმძღვანელო პრინციპებით ან ოქმებით
პოლიციელები და სხვა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები							
პროკურორები							
მოსამართლეები							
სოციალური მუშაკები							
ექიმები							
მედდები და მეანი ქალები							
ფსიქოლოგები, კერძოდ კონსულტანტები/ფსიქოთე რაპევტები							
საიმიგრაციო/თავშესაფრი ს ორგანოების თანამშრომლები							
საგანმანათლებლო პერსონალი და სკოლის ადმინისტრატორები							
ჟურნალისტები და სხვა მედია პროფესიონალები							
სამხედრო მოსამსახურეები							
ნებისმიერი სხვა შეასაბამისი კატეგორია							